

შპს „ერიტაუი“

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6


შპს „ერიტაჟი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2022-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	12/31/2022 ლარი	12/31/2021 ლარი	31/12/2020 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	494,292	657,444	801,638
სულ გრძელვადიანი აქტივები		494,292	657,444	801,638
მზა პროდუქცია		1,838,298	1,503,501	1,307,886
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,838,298	1,503,501	1,307,886
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	88,915	82,797	6,543
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		769,917	341,007	180,087
სხვა მიმდინარე აქტივები	5	199,813	140,382	259,112
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,058,645	564,186	445,742
სულ აქტივები		3,391,235	2,725,131	2,555,266
ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		124,976		
საგადასახადო ვალდებულებები		139,609	87,887	
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6	774,777	1,023,419	988,357
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,039,362	1,111,306	988,357
სულ ვალდებულებები		1,039,362	1,111,306	988,357
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		1,891,333	1,679,794	1,516,569
გაუნაწილებელი მოგება		460,540	(65,969)	50,340
გადაფასების რეზერვი				-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				-
სულ საკუთარი კაპიტალი		2,351,873	1,613,825	1,566,909
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3,391,235	2,725,131	2,555,266

შპს „ერიტაჟის“-ს

დირექტორი თენგიზ ჭიჭინაძე



შპს „ერიტაჟი“

მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი
ამონაგები	7	4,906,255	3,043,595
ამონაგების თვითღირებულება		(2,317,914)	(1,524,386)
საერთო მოგება		2,588,341	1,519,209
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(2,085,543)	(1,543,714)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	8	(169,837)	(167,285)
ფინანსური ხარჯი / შემოსავალი	9	26,602	16,200
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	10	166,946	59,281
მოგება დაბეგვრამდე		526,509	(116,309)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		526,509	(116,309)

შპს „ერიტაუი“-ს
დირექტორი თენგიზ ჭიჭინაძე



შპს „ერიტაუი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022

პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	სარეზერვო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 31.12.2020	1,516,569	-	50,340	1,566,909
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	163,225	-	-	163,225
გაცემული დივიდენდები	-	-	-	-
პერიოდის მოგება	-	-	(116,309)	(116,309)
ნაშთი - 31.12.2021	1,679,794	-	(65,969)	1,613,825
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	211,539	-	-	211,539
გაცემული დივიდენდები	-	-	-	-
პერიოდის მოგება	-	-	526,509	526,509
ნაშთი - 31.12.2022	1,891,333	-	460,540	2,351,873

შპს „ერიტაუი“-ს

დირექტორი თენგიზ ჭიჭინაძე



შპს „ერიტაჟი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ერიტაჟი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 14/11/2018). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი ვაკის რ-ნი ვაჟა ფშაველას გამზირი 70. მისი ძირითადი საქმიანობაა ტანსაცმლით ვაჭრობა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	2022	2021
1 აშშ დოლარი/ლარი	2.7020	3.0976
1 ევრო/ლარი	2.8844	3.5040

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის/მომსახურეობის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურეობა მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ

მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები 5 პროცენტი
- სატრანსპორტო საშუალებები 10 – 20 პროცენტი
- მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა 10 – 30 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად

საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. ძირითადი საშუალებები

შენიშვნები	საინვესტიციო ქონება	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კაპიტალიზაცია	
პერიოდი 01/01/2020		64,950	39,624	
შემოსვლა		344,977	377,358	
ცვეთა		(16,168)	(8,197)	
ჩამოწერა		-	(906)	
პერიოდი 31/12/2020	-	-	393,759	407,879
პერიოდი 01/01/2021		393,759	407,879	
შემოსვლა		22,062	1,029	
ცვეთა		(85,077)	(82,208)	
ჩამოწერა		-	-	
პერიოდი 31/12/2021		330,744	326,700	
პერიოდი 01/01/2022		330,744	326,700	
შემოსვლა		6,685	-	
ცვეთა		(87,612)	(82,225)	
ჩამოწერა		-	-	
პერიოდი 31/12/2022	-	-	249,817	244,475

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021	2020
მოთხოვნები ადგილობრივი მიწოდებიდან	88,915	82,797	6,543
სულ	88,915	82,797	6,543

5. სხვა მიმდინარე აქტივები

	2022	2021	2020
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	199,813	140,382	67,522
საგადასახადო აქტივი			191,590
მოკლევადიანი გაცემული სესხები			
მისაღები პროცენტები			
სულ	199,813	140,382	259,112

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2022	2021	2020
მოკლევადიანი ნასესხები თანხები			-
სავაჭრო ვალდებულებები	763,770	952,109	986,863
გადასახდელი ხელფასები	124,976	71,310	
მიღებული ავანსები			
გადასახდელი პროცენტი			
სხვა ვალდებულებები	11,007		1,494
საგადასახადო ვალდებულებები	139,609	87,887	
სულ	1,039,362	1,111,306	988,357

7. ამონაგები

	2022	2021
ამონაგები რეალიზაციიდან	4,906,255	3,043,595
ამონაგების თვითღირებულება	(2,317,914.00)	(1,524,386.00)
სულ	2,588,341	1,519,209

8. ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
დასაქმებულთა ანაზღაურება	(828,897)	(613,681)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(169,837)	(167,285)
იჯარის ხარჯი	(748,774.00)	(533,484.00)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი		(39,482)
მივლინების ხარჯი	(28,660)	
საგადასახადო ხარჯი	(6,183)	(7,209)
საბანკო ხარჯი	(60,918)	(46,635)
სამეურნეო ხარჯი	(9,232)	(16,323)
რემონტის ხარჯი		
საკანცელარიო ხარჯი	(5,103)	(5,811)
ტრანსპორტირების ხარჯი		
რეკლამის ხარჯი	(67,670)	(97,378)
სხვადასხვა მომსახურების ხარჯი	(185,705)	(66,895)
საკონსულტაციო ხარჯი	(19,875)	(17,125)
სხვა ხარჯი	(112,676)	(99,691)
სულ	(2,243,530)	(1,710,999)

9. ფინანსური ხარჯი / შემოსავალი

	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი	26,602	16,200
საპროცენტო ხარჯი	(11,850)	
სულ	14,752	16,200

10. არასაოპერაციო მოგება/ზარალი

	2022	2021
საკურსო სხვაობა	166,946	59,281
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		
სულ	166,946	59,281

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2023 წლის 26 სექტემბერს.

შპს „ერიტაუი“-ს
დირექტორი თენგიზ ჭიჭინაძე